# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 133-2017

ქ. თბილისი 3 აპრილი, 2017 წელი

ერთის მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით („შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ – შპს „Geosm" მისი დირექტორის თეიმურაზ ახობაძეს (იურიდ. მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №47. ფაქტიური მისამართი: მ. ასათიანის №14) სახით („მიმწოდებელი"), გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA170004429) საფუძველზე, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს „საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა"-ს (CPV30100000) შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა, შესასყიდი საქონლის კონკრეტული დასახელება, რაოდენობა და ფასები მოცემულია თანდართულ ფასების ცხრილში (დანართი №1-ში), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 2550 (ორი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სტუ-ს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ს. ფარსეღაშვილი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი შემსყიდველის მხრიდან – სტუ-ს საწყობის გამგე ზ. ფრანგიშვილი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 3 კალენდარულ დღეში. მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ 77.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში,

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდეგ, ეტაპობრივად, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 ნოემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მის: კოსტავას ქ. №77
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა სახაზინო კოდი 708977259
ს.კ. 211349192
ბანკის კოდი TRESGE22

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „Geosm"
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №47
ფაქტ. მის: მ. ასათიანის №14
ტელ. 599 500 702
სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი MIBGGE22
ა.ა GE45PC0223600100010827
ს.კ. 404873614

დირექტორი
თ. ახობაძე

# Geo sm

ქ.თბილისი მ.ასათიანის ქ. N14. ს/კ404873614 ტელ. 72 9119
www.geosm.ge e-mail ; info@geosm.ge

## ფასების ცხრილი

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლები | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | წარმოშობის ქვეყანა | მწარმოებელი კომპანია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტეპლერის სკობი | №10, კოლოფში 1000 ცალი | კოლ. | 15 | 0.22 | **3.30** | ჩინეთი | DELI |
| 2 | სტეპლერის სკობი | №24/6, კოლოფში 1000 ცალი | კოლ. | 55 | 0.33 | **18.15** | ჩინეთი | DELI |
| 3 | სტეპლერის სკობი | 23\6, კოლოფში 1000 ცალი | კოლ. | 5 | 2.36 | **11.80** | ტაივანი | KW-TRIO |
| 4 | კალკულატორი | 12 თანრიგით, ზომა: 18.8სმX14.5სმ | ცალი | 9 | 5.24 | **47.16** | ჩინეთი | HELIO |
| 5 | კალკულატორი | 16 ციფრიანი | ცალი | 2 | 13.69 | **27.38** | ჩინეთი | DELI |
| 6 | ასაკინძი აპარატი | A4 18X425 ფურცელზე, პლასტმასის ზამბარაზე | ცალი | 1 | 144.40 | **144.40** | ჩინეთი | DELI |
| 7 | ასაკინძი ზამბარა | მეტალის 65 ფერცელზე შეკვრაში 100ცალი | ცალი | 1 | 13.62 | **13.62** | ჩინეთი | DELI |
| 8 | ფლიპჩარტის დაფა | სიმაღლის რეგულირებით, 3 ფეხით ზომა 60X90, ბორდმარკერის საწერი ზედაპირით | ცალი | 1 | 78.77 | **78.77** | ჩინეთი | DELI |
| 9 | ორმაგი სკოჩი | 25მმX12მ | ცალი | 4 | 0.69 | **2.76** | ჩინეთი | DELI |
| 10 | სკოჩი | სკოჩი გამჭვირვალე, სიგანე 45მმ | ცალი | 14 | 0.51 | **7.14** | ჩინეთი | DELI |
| 11 | სკოჩი საკანცელარიო | გამჭვირვალე, სიგანე 12მმ, სიგრძე 10მეტრი | ცალი | 10 | 0.11 | **1.10** | ჩინეთი | DELI |
| 12 | კალამი | ბურთულიანი, სხვადასხვა ფერის, 0.7მმ-იანი წვერით, კორპუსი ერთ ფერში (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 258 | 0.14 | **36.12** | ჩინეთი | HELIO |
| 13 | კალამი | ბურთულიანი, სხვადასხვა ფერის, 1მმ-იანი წვერით, ღილაკით, კორპუსი ერთ ფერში (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 24 | 0.87 | **20.88** | გერმანია | SCHNEIDER |
| 14 | კალამი სასაჩუქრე | ყუთში 2 ცალი მეტალის კორპუსით, ბურთულიანი, , (შეხვედრებისა და პრეზენტაციებისათვის) | ცალი | 6 | 3.00 | **18.00** | ჩინეთი | DELI |
| 15 | კალამი | ბურთულიანი, სხვადასხვა ფერის, 1მმ-იანი წვერით, ზამბარაზე (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 4 | 0.87 | **3.48** | გერმანია | SCHNEIDER |
| 16 | კალამი | სხვადასხვა ფერის, თხევადი მელნით (გელით) 0.5მმ წვერით, უმაღლესი ხარისხის (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 15 | 0.37 | **5.55** | ჩინეთი | DELI |
| 17 | ფლომასტერების ნაკრები | 12 ფერით | ცალი | 28 | 2.53 | **70.84** | ჩინეთი | DELI |
| 18 | დაფის მარკერი | (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 75 | 0.41 | **30.75** | ჩინეთი | DELI |
| 19 | პერმანენტ მარკერი | სხვადასხვა ფერის | ცალი | 56 | 0.47 | **26.32** | ჩინეთი | DELI |
| 20 | ტექსტ მარკერი | (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით) | ცალი | 75 | 0.53 | **39.75** | ჩინეთი | DELI |
| 21 | ფანქარი საშლელით | HB | ცალი | 50 | 0.12 | **6.00** | ჩინეთი | DELI |
| 22 | ფანქარი | 2B | ცალი | 5 | 0.16 | **0.80** | ჩინეთი | DELI |
| 23 | ფანქარი | 7B | ცალი | 7 | 0.36 | **2.52** | ჩინეთი | DELI |
| 24 | ფანქარი | HB | ცალი | 7 | 0.18 | **1.26** | ჩინეთი | DELI |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | ფერადი ფანქრების ნაკრები | 12 ცალიანი შეკვრა | კოლოფი | 3 | 1.57 | **4.71** | ჩინეთი | DELI |
| 26 | ფანქრის სათლელი | კონტეინერით | ცალი | 13 | 0.47 | **6.11** | ჩინეთი | DELI |
| 27 | კორექტორი ფუნჯით | 20 მლ | ცალი | 2 | 0.74 | **1.48** | ჩინეთი | HELIO |
| 28 | განცხადებების დაფა კორპის ზედაპირით | ზომით: 90სმ/120სმ. | ცალი | 1 | 40.00 | **40.00** | ჩინეთი | DELI |
| 29 | გამადიდებელი ლუპა | 75მმ, კარგი ხარისხის | ცალი | 10 | 2.50 | **25.00** | ჩინეთი | DELI |
| 30 | დანართის შესაკრავი ზონარი | 50მეტრიანი ხვია, სხვადასხვა ფერის | ცალი | 1 | 6.56 | **6.56** | ირანი | HADJI ZADEH |
| 31 | მაკრატელი საოფისე | 17 სმ, პლასტმასის სახელურით | ცალი | 9 | 1.32 | **11.88** | ჩინეთი | DELI |
| 32 | წებო თხევადი | 40 გრამიანი | ცალი | 1 | 0.46 | **0.46** | ჩინეთი | DELI |
| 33 | წებო მშრალი | 15 გრამიანი PVP | ცალი | 21 | 0.43 | **9.03** | ჩინეთი | DELI |
| 34 | კორექტორი მეტალის წვერით | კარგი ხარისხის, 8მლ | ცალი | 27 | 0.80 | **21.60** | ჩინეთი | DELI |
| 35 | სამაგიდე ნაკრები | გზრიალა, 9 საგნიანი, პრიალა პლასტმასის ზედაპირის მქონე, ფერი შავი, უმაღლესი ხარისხის | ცალი | 6 | 9.85 | **59.10** | ჩინეთი | DELI |
| 36 | სახაზავი | 30სმ პლასტმასის | ცალი | 10 | 0.49 | **4.90** | ჩინეთი | DELI |
| 37 | გილიოტინა | A4 ქაღალდისთვის, 10 ფურცლიანი. | ცალი | 1 | 33.20 | **33.20** | ჩინეთი | DELI |
| 38 | ბორდმარკერის დაფა | ორმხრივი,სადგამით, ზომა 90X150 სმ, ქაღალდის სამაგრით | ცალი | 2 | 183.65 | **367.30** | ჩინეთი | DELI |
| 39 | დაფის საშლელი | მაგნიტური | ცალი | 4 | 0.88 | **3.52** | ჩინეთი | DELI |
| 40 | ჭიკარტი | ლურსმანი, ფერადი პლასტმასის თავით, კოლოფში 35 ცალი | კოლ. | 9 | 0.68 | **6.12** | ჩინეთი | DELI |
| 41 | კლიპი მეტალის | 15 მმ | ცალი | 34 | 0.05 | **1.70** | ჩინეთი | DELI |
| 42 | კლიპი მეტალის | 32 მმ | ცალი | 45 | 0.10 | **4.50** | ჩინეთი | DELI |
| 43 | კლიპი მეტალის | 51 მმ | ცალი | 45 | 0.33 | **14.85** | ჩინეთი | DELI |
| 44 | საკანცელარიო დანა | დიდი | ცალი | 24 | 0.35 | **8.40** | ჩინეთი | HELIO |
| 45 | სტეპლერი | №10,მეტალის მყარი მექანიზმით, 8 ფურცლისთვის | ცალი | 3 | 1.35 | **4.05** | ჩინეთი | DELI |
| 46 | სტეპლერი | №24/6,მეტალის მყარი მექანიზმით, 25 ფურცლისთვის | ცალი | 17 | 2.91 | **49.47** | ჩინეთი | DELI |
| 47 | სტეპლერი | 23/6 მყარი მექანიზმით, 120 ფურცელზე | ცალი | 4 | 35.53 | **142.12** | ჩინეთი | DELI |
| 48 | ანტისტეპლერი უნივერსალური | | ცალი | 6 | 0.81 | **4.86** | ჩინეთი | DELI |
| 49 | ქაღალდი ცარცის | ა4 300გრ | ცალი | 200 | 0.19 | **38.00** | ინდოეთი | BILT |
| 50 | ფერადი ქაღალდი | A4X250, 160 გრამიანი სხვადასხვა ფერის | შეკვ. | 3 | 13.46 | **40.38** | ინდონეზია | SPECTRA |
| 51 | საარქივო საქაღალდე რეზინით | 200ფურც. | ცალი | 4 | 2.88 | **11.52** | ჩინეთი | DELI |
| 52 | მუყაოს სასაბუთე ყუთი რეზინის დამჭერით | 100 ფურცლიანი | ცალი | 10 | 2.88 | **28.80** | ჩინეთი | HELIO |
| 53 | საკანცელარიო თარო | მაგიდის, 3-თაროიანი მეტალის ბადე | ცალი | 1 | 10.29 | **10.29** | ჩინეთი | HELIO |
| 54 | საკანცელარიო ჯამი | მაგიდის, პლასტმასის, ჰორიზონტალური, გამჭვირვალე | ცალი | 10 | 3.57 | **35.70** | ჩინეთი | DELI |
| 55 | სასაბუთე ყუთი | პლასტმასის ვერტიკალური 300X250X80 მმ | ცალი | 1 | 4.31 | **4.31** | ჩინეთი | DELI |
| 56 | ჩასანიშნი ქაღალდი | ფერადი, პლასტმასის ყუთით, 90X90მმ | ცალი | 4 | 2.27 | **9.08** | ჩინეთი | DELI |
| 57 | ჩასანიშნი წებოვანი | 76X51მმ, 100 ცალიანი | ცალი | 12 | 0.37 | **4.44** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 58 | ჩასანიშნი წებოვანი | 76X76მმ, 100 ცალიანი | ცალი | 40 | 0.43 | **17.20** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |
| 59 | ჩასანიშნი წებოვანი | 76X19მმ, 100 ცალიანი | ცალი | 2 | 0.80 | **1.60** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |
| 60 | ბლოკნოტი | ყოველდღიური, ა5 ტყავის ყდით 2017წლის | ცალი | 5 | 3.83 | **19.15** | ჩინეთი | HELIO |
| 61 | ბლოკნოტი | მაგარი ყდით, ზამბარით, ა5, უჯრიანი, 70 ფურცლიანი | ცალი | 4 | 7.95 | **31.80** | თურქეთი | LECOLOR |
| 62 | ბლოკნოტი | მაგარაი ყდით, ზამბარით, ა4, 96 ფურცლიანი | ცალი | 5 | 10.21 | **51.05** | თურქეთი | LECOLOR |
| 63 | ბლოკნოტი | ტყავის ყდით, ა5, ალფავიტის გარეშე, 80 ფურცლიანი | ცალი | 13 | 2.26 | **29.38** | ჩინეთი | DELI |
| 64 | რვეული საკანცელარიო | მუყაოს ყდით, 96 ფურცლიანი, ცალხაზიანი ან უჯრიანი (მოთხოვნის შესაბამისად) | ცალი | 51 | 1.01 | **51.51** | საქართველო | იბერია |
| 65 | საკანცელარიო წიგნი | ა4, მუყაოს ყდით, 96 ფურცლიანი, ცალხაზიანი ან უჯრიანი (მოთხოვნის შესაბამისად) | ცალი | 10 | 1.45 | **14.50** | საქართველო | ცოტი |
| 66 | ბაინდერი | განიერი, ა4, ჩასადები ფორნიშით | ცალი | 28 | 2.35 | **65.80** | ჩინეთი | HELIO |
| 67 | ბაინდერი | ვიწრო, ა4, ჩასადები ფორნიშით | ცალი | 55 | 2.35 | **129.25** | ჩინეთი | HELIO |
| 68 | სამდივნო დაფა | პლასტიკური, ზომა ა4, სახაზავით | ცალი | 1 | 1.86 | **1.86** | ჩინეთი | DELI |
| 69 | სამდივნო დაფა | პლასტიკური, ზომა ა4, ორმხრივი | ცალი | 3 | 2.15 | **6.45** | ჩინეთი | HELIO |
| 70 | საქაღალდე | მუყაოსი, ბაფთით, ზომა ა4 | ცალი | 10 | 0.23 | **2.30** | საქართველო | ერა |
| 71 | საქაღალდე პლასტიკური | ღილაკით | ცალი | 20 | 0.49 | **9.80** | ჩინეთი | DELI |
| 72 | საქაღალდე პლასტიკური | ფერადი | ცალი | 10 | 1.81 | **18.10** | ჩინეთი | DELI |
| 73 | საქაღალდე პლასტიკური | კუთხეებში 2 რეზინით | ცალი | 10 | 0.94 | **9.40** | ჩინეთი | WALID STATIONERY |
| 74 | საქაღალდე პლასტიკური | 3 ფრთით, რეზინით | ცალი | 20 | 1.81 | **36.20** | ჩინეთი | WALID STATIONERY |
| 75 | საქაღალდე პლასტიკური | ზამბარით | ცალი | 10 | 1.57 | **15.70** | ჩინეთი | XINBIHE |
| 76 | სწრაფჩამკერი | პლასტიკური, ზომა ა4 | ცალი | 160 | 0.20 | **32.00** | თურქეთი | ARKAKAR(3A) |
| 77 | ფაილი გამჭვირვალე | ბაინდერის, ა4 100ცალიანი, 30 მიკრონიანი | შეკვრა | 60 | 2.64 | **158.40** | ჩინეთი | HELIO |
| 78 | საშლელი | | ცალი | 26 | 0.11 | **2.86** | ჩინეთი | DELI |
| 79 | საკანცელარიო ურნა | პერფორირებული, მეტალის | ცალი | 2 | 4.33 | **8.66** | ჩინეთი | HELIO |
| 80 | კლიპი მეტალის | 25მმ | ცალი | 92 | 0.07 | **6.44** | ჩინეთი | DELI |
| 81 | დაფის საშლელი | | ცალი | 4 | 0.88 | **3.52** | ჩინეთი | DELI |
| 82 | სასაკინძი ყდა | გამჭვირვალე,(პლასტიკური) ა4, 100 შეკვრა | შეკვრა | 1 | 13.13 | **13.13** | ჩინეთი | HELIO |
| 83 | საკანცელარიო დანა | მეტალის კორპუსით | ცალი | 4 | 2.03 | **8.12** | ჩინეთი | DELI |
| 84 | ქაღალდი საოფისე | A4 180 გრამი, შეკვრაში 100 ფურცელი | შეკვრა | 2 | 8.27 | **16.54** | ტაილანდი | ALPINE |
| 85 | ქაღალდი | A1, ფლიპჩარტის, შეკვრაში 25 ფურცელი | შეკვრა | 1 | 7.30 | **7.30** | ტაილანდი | ALPINE |
| 86 | ქაღალდი კალკის | კალკა A3 შეკვრაში 20 ფურცელი | შეკვრა | 3 | 7.75 | **23.25** | ჩინეთი | GATEWAY |
| 87 | ქაღალდი კალკის | კალკა A4 შეკვრაში 25 ფურცელი | შეკვრა | 4 | 3.56 | **14.24** | ჩინეთი | GATEWAY |
| 88 | მაკრატელი საოფისე | დიდი | ცალი | 4 | 2.10 | **8.40** | ჩინეთი | DELI |
| 89 | მაკრატელი საოფისე | პატარა | ცალი | 4 | 1.32 | **5.28** | ჩინეთი | DELI |
| 90 | ტრანსპორტირი | | ცალი | 4 | 0.60 | **2.40** | ჩინეთი | DELI |
| 91 | რეზინა | მრგვალი წვრილი | შეკვრა | 1 | 2.02 | **2.02** | ჩინეთი | DELI |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 92 | საკანცელარიო ჭიქა | 3 განყოფილებიანი | ცალი | 3 | 3.01 | **9.03** | ჩინეთი | HELIO |
| 93 | ბლოკნოტი | მაგარაი ყდით, ა4, 200 ფურცლისა | ცალი | 1 | 7.06 | **7.06** | ჩინეთი | HELIO |
| 94 | რვეული საკანცელარიო | ა4 მუყაოს ყდით, 96 ფურცლიანი, ცალხაზიანი ან უჯრიანი (მოთხოვნის შესაბამისად) | ცალი | 3 | 1.88 | **5.64** | საქართველო | იბერია |
| 95 | ბაინდერი | პლასტიკური ა4 2 რგოლით | ცალი | 3 | 3.86 | **11.58** | ჩინეთი | DELI |
| 96 | ბაინდერი | პლასტიკური ა4 4 რგოლით | ცალი | 3 | 4.14 | **12.42** | ჩინეთი | DELI |
| 97 | მაკრატელი საოფისე | 17 სმ, კერამიკული | ცალი | 2 | 3.00 | **6.00** | ჩინეთი | DELI |
| 98 | ჩასანიშნი წებოვანი | 76X76მმ, 400ცალიანი | ცალი | 2 | 2.73 | **5.46** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |
| 99 | ჩასანიშნი წებოვანი | 75X75მმ, 500 ცალიანი | ცალი | 1 | 3.15 | **3.15** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |
| 100 | ჩასანიშნი ქაღალდი | ფერადი, არაწებოვანი 90X90მმ, 500ფურცლიანი | ცალი | 1 | 1.38 | **1.38** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |
| 101 | კლიპი მეტალის | 19 მმ | ცალი | 12 | 0.05 | **0.60** | ჩინეთი | DELI |
| 102 | კლიპი მეტალის | 41 მმ | ცალი | 12 | 0.37 | **4.44** | ჩინეთი | DELI |
| 103 | საქაღალდე | ა4 ელვა საკეტით | ცალი | 20 | 1.38 | **27.60** | ჩინეთი | DELI |
| 104 | ჩასანიშნი წებოვანი | 12X40მმ, 5 ცალიანი | ცალი | 1 | 0.74 | **0.74** | ჩინეთი | MERRY STATIONERY |

სულ: ორიათასხუთასორმოცდაათი ლარი დღგ-ს ჩათვლით 2550.00

დირექტორი
თეიმურაზ ახობაძე

GEOSM Company GEOSM
Geosm
404873614

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 3 აპრილი, 2017წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა"-ს შესყიდვის მიზნით 2017 წლის 17 მარტს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან (SPA170004429) ჩემს მიერ დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები შპს „Geosm"-თან.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი